პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი, № 201 (12115) | შაბათი, 2 სექტემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ავლაგმოთ აგრესორები, ვაძლიოთ მშვიდობა!

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად მხარს უჭერენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სსრ კავშირის თავდაცვის გასაძლიერებლად

თბილისის სახეხი ჩარხების საამწყობო საამქროს აგიტატორი გ. გურეილიძე აცნობს მუშებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „იმ ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები".

ფოტო გ. კიკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სამშობლოს სადარაჯოზე

თბილისის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ იწონებენ და ეთანხმებიან ერთსულოვნად უმტკიცეს მხარს ღონისძიებებს, რასაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს ჩვენი სამშობლოს თავდაცვის ძლიერების განმტკიცებისათვის.

საქართველოს დედაქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც გაისმოდა გულისწყრომით აღსავსე სიტყვები ახალი ომის გაჩაღებლების მიმართ.

— ჩვენ ვმუშაობთ მშვიდობისათვის, ჩვენ არ გვინდა ომი, — განაცხადა კროვის სახელობის თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშათა მიტინგზე ტექნოლოგმა დ. მხეიძემ. ჩვენ ვქმნით ჩარხებს მშვიდობიანი მიზნებისათვის და არ გვინდა, რომ ჩვენი შრომა ემსახურებოდეს ომის მიზნებს.

სიტყვას ამბობს ზეინკალი გ. ქაქოსაძე. იგი ამბობს:

— ჩვენ გვჯერა, რომ გაიმარჯვებს გონება და სამართლიანობა, რომ მშვიდობის ძალები დაამარცხებენ ომის ძალებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მიზნად ისახავს იმას, რომ თავიდან აავიცილოთ ახალი მსოფლიო ომის დაწყება, და ყველანი ერთსულოვნად ვეერთდებით ამ დადგენილებას.

ვიმუშაოთ ისე, რომ ჩვენი ჩარხები იყოს საუკეთესო ხარისხის — ეი ჩვენი ამოცანა, თქვა ინჟინერ-კონსტრუქტორმა ვ. ჯიქიამ. კომუნისტური პარტია წინმიგვიძღვის ნათელი მომავლისაკენ და ვერავითარი ძალები ვერ აგვაცდენენ არჩეულ გზას. ეს დადგენილება გონს მოიყვანს რევანშისტებს, იგი აიძულებს მათ სხვანაირად შეხედონ საგნებს.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში კიროველები იწონებენ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისათვის.

ასეთია ჩვენი კასუხი

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით შეხვდნენ ქუთაისელი მშრომელები საბჭოთა მთავრობის განცხადებას.

ელექტრომექანიკური ქარხნის მუშამოსამსახურეთა მრავალრიცხოვან მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სიიარაღო საამქროს ზეინკალმა კ. აბდალაძემ განაცხადა:

— ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯია. პარტია და მთავრობა, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი მთელ თავიანთ ღონეს ახმარენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეს. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები აჩქარებული ტემპით ახორციელებენ საომარ მზადებას. შექმნილი ვითარებაში საჭიროა განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ამიტომ ჩვენ ვიწონებთ ამ გზაზე გადადგმულ ნაბიჯებს და მტკიცედ ეაცხადებთ: აგრესია უნდა აღიკვეთოს, თუ აგრესორები თავიანთ ზრახვებზე ხელს არ აიღებენ, განადგურებული იქნებიან.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მექანიკური საამქროს მუშამ დ. ფერაძემ, ელექტრომანქანების საამქროს ოსტატმა კ. არხანინამ და სხვებმა.

სიმართლე ჩვენს მხარეზეა

ჩვენი გული ხალხთა მშვიდობის, შემოქმედებითი შრომის სიყვარულით არის გამთბარი. ჩვენ დიდ მომავალზე, ხალხთა ბედნიერებაზე ვფიქრობთ, მაგრამ აგრესიული ბლოკის სახელმწიფოები ომის ისტერიამ შეიპყრო და ახალი ხოცვა-ჟლეტის ერინი მოეროიათ. ისინი უფრო და უფრო აძლიერებენ საერთაშორისო დაძაბულობას და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ატომური წარღვნის წინაშე დაიყენონ კაცობრიობა. მათ არ ასვენებთ ჩვენი სამშობლოს, სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა ბრწყინვალე წარმატებანი.

ხალხები გაფაფხულნენ ომის ბოროტ ღრუბლებს. ეს სჯერათ კეთილი ნების ადამიანებს მთელ მსოფლიოში. ეს მტკიცედ გვჯერა ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის შვილებს. ისტორიის დიდი სიმართლე ჩვენს მხარეზეა.

ვასილანგ ბაბუკიანი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი.

ძმური წერილი

ვიეტნამელი ხალხისადმი

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ხო ში მინსა და ფამ ვან დონგს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც საბჭოთა ხალხის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მოძმე ვიეტნამელ ხალხსა და ვიეტნამის ხელმძღვანელებს მხურვალე მილოცვას უთვლიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 16 წლისთავის გამო.

საბჭოთა ადამიანებს, ნათქვამია მისალმებაში, გულწრფელად უხარიათ ის, რომ ძმური ფერი მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის განუწყვეტლივ მტკიცდება და ფართოვდება. სულითა და გულით გულთრფვებთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში მყარი მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

* * *

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს უნგ ვან ჭიემს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

მის აღმატებულებას კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს სირილ ადულას

ლეოპოლდვილი

იმასთან დაკავშირებით, რომ კონგოს პარლამენტმა თქვენ დაგამტკიცეთ კონგოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის მაღალ პოსტზე, პატივი მაქვს გამოგგზავნოთ ეს დეპეშა და, ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, გულწრფელად გისურვოთ პირადად თქვენ, კონგოს რესპუბლიკის მთავრობასა და ხალხს წარმატებანი კონგოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის განმტკიცების საქმეში, რაც შეესაბამება მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს აფრიკასა და მთელ მსოფლიოში.

მხედველობაში იღებს რა რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მთავრობა თქვენი მეთაურობით არის მემკვიდრე კონგოს რესპუბლიკის პირველი ცენტრალური მთავრობისა, რომელსაც სათავეში ედგა დიდი პატრიოტი პატრის ლუმუმბა, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ იგი განაგრძობს დიპლომატიურ ურთიერთობას კონგოს რესპუბლიკასთან და თავის მხრივ განახორციელებს ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნების მეგობრობისა და ურთიერთგაგების, ურთიერთობის განვითარებისათვის თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის, პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

პატივისცემით

ნ. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მოსკოვი, 1961 წლის 31 აგვისტო.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ლ. პლამერი და კ. ზილიაკუსი

იალტა, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ყირიმში დასასვენებლად მყოფი თვალსაჩინო ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწეები, ინგლისის პარლამენტის წევრები ლ. პლამერი და კ. ზილიაკუსი, მათი თხოვნით, და საუბარი ჰქონდა მათთან, რაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

პირველი ზარი

მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს თბილისის 61-ე საშუალო სკოლა. სკოლის შენობა კაპიტალურად შეკეთდა, ეზოში გამოიყო მიწის საცდელი ნაკვეთი. სადურგლო და სახარატო სახელოსნოებს შეემატათ ახალი დანადგარები, კეთილმოწყეს სახელოსნო.

პირველი ზარის წკრიალისთანავე, მოსწავლეებით გაივსო საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები,

რუსთავი. (საკ. კორ.). „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება", „ვისწავლოთ, ვიმრომოთ, ვიცხოვროთ კომუნისტურად" — ასეთი პლაკატები და ტრანსპარანტები გაუკრავთ ქალაქის სკოლების შენობებზე.

მე-10 საშუალო სკოლა მოთავსებულია ქალაქის ცენტრში. აქ ძირითადად მეტალურგთა შვილები სწავლობენ.

ირეკება ზარი. სა ჩაფხულო არდადეგებზე გაჯანსაღებული ახალგაზრდები მოესხდნენ მერხებს. მე-8-ა კლასში ალგებრის გაკვეთილზე შედის პედაგოგი ანგელინა ცინცაძე, იგი მოსწავლეებს უოლოცავს ახალი სასწავლო წლის დაწყებას და საგნის შესავალი ნაწილით იწყებს გაკვეთილს. მოსწავლეები გულდასმით უსმენენ პედაგოგს.

ქასპი. (საკ. კორ). პირველი ზარი დაირეკა ახლადგახსნილ ქასპის სკოლა-ინტერნატში, 300 ბავშვი შეუდგა სწავლას და იქვე ცხოვრებას. საამისოდ ყველა პირობა არის შექმნილი. ერთ დიდ კორპუსში მოთავსებულია ნათელი საკლასო ოთახები, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზი, პიონერთა ოთახი, ბიბლიოთეკა; მეორეში საძინებელი ოთახები, ცალკეა სასადილო, სამრეცხაო და აბანო, მასწავლებელთა სახლი. წელს ერთ ცალად მეცადინეობაზე გადავიდა 5 საშუალო, 2 შვიდწლიანი და 3 დაწყებითი სკოლა.

* * *

თბილისის 55-ე საშუალო სკოლის პირველ კლასელები (წინა პლანზე) გურამ ბლუაშვილი და მარინე ქიტაიშვილი პირველ გაკვეთილზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გეგმა შესრულებულია!

წალენჯიხელი, ჩხოროწყუელი და წულუკიძელი მეჩაიეები გვპირდებიან: სამშობლოს მისცენ დამატებით მრავალასეული ტონა ჩაი!

საუბარი საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ი. ჩიქავასთან

1.140 გააჩაღეს რა პარტიის XXII ყრილობის ღირსულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრება მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა პირველი სექტემბრისათვის შეესრულებინათ. მათ პირობა გაანაღდეს. 31 აგვისტოს შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 8.370 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 8.360 ტონისა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 470 ტონით მეტი ჩაის ნედლეული.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ლიის კოლმეურნეობა „საქართველოს", ფაღენის სტალინის სახელობის, ჯგალის რუსთაველის სახელობის, წალენჯიხის მარქსის სახელობის, ჯვარის სტალინის სახელობისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობებმა. ისინი მალე ნაკისრ ვალდებულებებსაც შეასრულებენ.

გამოჩნდნენ შვიდწლედის ახალი შუქურები, რომლებიც ზუგდიდელი მეერქარდავას მაგალითისამებრ მუშაობენ. ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ ფენია ძაძამიამ მოკრიფა 4 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა. მან იკისრა დამატებით მოკრიფოს 2 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო".

ამ დღეებში მეჩაიეებმა უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი. მათ ვალდებულება იკისრეს გეგმის ზევით მოკრიფონ 1.140 ტონა ჩაი.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ა. მორგოშიასთან

680 რაიონის მეჩაიეებმა 30 აგვისტოს გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს 5.852 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად 5.850 ტონისა. მიღწეულებით დაკმაყოფილება არ სჩვევიათ ჩვენს მეჩაიეებს. პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში კიდევ უფრო გააძლიერეს ჩაის კრეფის ტემპი და გადაწყვიტეს გეგმის ზევით მოკრიფონ და მრეწველობას ჩაბარონ 680 ტონა „მწვანე ოქრო".

წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და ახლა ვალდებულების ანგარიშში კრეფენ ჩაის სოფელ ხაბუმის ვ. ი. ლენინის სახელობის, ჩხოროწყუს მახარაძის სახელობის, პირველი ბოლის კიროვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

ჩაის კრეფის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მოწინავე მეჩაიეებმა ნ. შენგელიამ, ე. წირღვავამ, კ. გოგიამ, დ. ქარჩავამ და სხვებმა.

ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებას სასახელოდ შეასრულებენ და ამ წარმატებებს უპატაკებენ სკკპ XXII ყრილობას.

საუბარი საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. მ. აბზიანიძესთან

300 პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვის დღეებში წულუკიძელმა მეჩაიეებმა გააძლიერეს მუშაობის ტემპი. 30 აგვისტოსათვის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 2.614 ტონა ჩაი გეგმით გათვალისწინებული 2.610 ტონის ნაცვლად.

წულუკიძელი მეჩაიეები უფრო მეტს ფიქრობენ: პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში არ დასჯერდნენ წინათ აღებულ ვალდებულებას, რომელიც გეგმის გადამეტებით 200 ტონა ჩაის მოკრეფას ითვალისწინებს, და გადაწყვიტეს **მრეწველობას გეგმის გადამეტებით მისცენ 300 ტონა ჩაის ნედლეული.** სულ მოკრეფენ 2.910 ტონა „მწვანე ოქროს".

ჩაის კრეფის სამუშაოებში ბევრი კოლმეურნეობა დაწინაურდა. სოფელ ივანდიდის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის ზევით მრეწველობას ჩაბარა 11.700 კილოგრამი ჩაი, სოფელ გუბის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 7.600 კილოგრამი, სოფელ გოჩა ჯიბაიშის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 5.000 კილოგრამი.

ქალაქ წულუკიძის კოლმეურნეობის მეჩაიემ იზოლდა წოწორნავამ მოსაელად მიჩეული 0,6 ჰექტარი ფართობიდან 2.400 კილოგრამის ნაცვლად 17.300 კილოგრამი ჩაი მოკრიფა. მან იკისრა კიდევ მოკრიფოს 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

შენთვის, ჩემო სამშობლო!

ქუთაისი. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის მშრომელები, რომლებიც პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ნიკოპოლელ თანამოსაკმეებთან, ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ. მარგანეცის ტრესტმა ვადამდე შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ცხრა თვის დავალება და მეტალურგიულ ქარხნების უკვე გაუგზავნია ათობით ზეგეგმითი ეშელონი.

მაღალნაყოფიერად შრომობენ დიმიტროვის, ორჯონიკიძის, ვოროშილოვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. განსაკუთრებული შრომითი აღმავლობაა კალინინის სახელობის მაღაროში, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

დიდი შრომითი აღმავლობაა ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი ჰიდრონაგებობის — სიონის წყალსაცავის მშენებლობაზე.

სიონმშენებლები მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგანან. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეორე და მესამე სამშენებლო უბნის მუშაკები, რომლებიც დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მათ მიერ მიმდინარე წელს შესრულებულია 11.200 კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაო.

ჩვენი მისწრაფება

ჩვენმა ბრიგადამ წლიური გეგმის ზევით უკვე მოკრიფა 3 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. შრომის ავანგარდში არიან კომუნისტები ასიე ჩამბა, მერი შარაძე, ადვიე თავდგირიძე, ფიქრიე ცინცაძე და სხვ.

ბრიგადის წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა მიეცეთ სამშობლოს გეგმის ზევით 10 ტონა ჩაი, ჰექტარზე მოსავლიანობა ავიყვანოთ 8 ათას კილოგრამამდე, სასახელო მაჩვენებლებით შევხვდეთ სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებს.

ფაბი წითელაძე,

ბათუმის რაიონის ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ჩხოროწყუს რაიონი, სოფელ ხაბუმეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე მაყვალა ახალაია,

165.000 ტონა ჩაისათვის!

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

დიდი შრომითი აღმავლობაა ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი ჰიდრონაგებობის — სიონის წყალსაცავის მშენებლობაზე.

სიონმშენებლები მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგანან. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეორე და მესამე სამშენებლო უბნის მუშაკები, რომლებიც დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მათ მიერ მიმდინარე წელს შესრულებულია 11.200 კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაო.

კომუნისტური საზოგადოების ადამიანი ყალიბდება წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლაში

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის აქტივის თეორიულ კონფერენციაზე

ჩვენს ბლანტაზე მრავალ თაობას უცხოვრია. ადამიანებმა მსოფლიო ისტორიაში არაერთი გმირული ფურცელი ჩაწერეს, მაგრამ საზოგადოება თავის სანუკვარ მიზანთან ჯერ კიდევ არასდროს არ მისულა ისე ახლოს, როგორც ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, რომლებიც უკვე დღეს ვაშენებთ კომუნიზმის ბრწყინვალე შენობას.

საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში, პირველად მსოფლიო ისტორიაში, მოცემულია ახალი საზოგადოების შექმნის კონკრეტული, მეცნიერული, რეალური გეგმა. ღრმა კმაყოფილების გრძნობით, აღტაცებითა და სიამაყით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ შესანიშნავ დოკუმენტს. როგორც ყოველთვის, პარტია ამ დოკუმენტში გამოხატავს ხალხის ყველაზე სანუკვარ მისწრაფებებსა და სურვილებს; როგორც ყოველთვის საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიის მოწოდებას უპასუხებენ ახალ-ახალი წარმატებებით შრომაში, ზრდიან თავიანთ შეგნებულობას, ენერგიასა და ენთუზიაზმს.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი რუსეთის სფსრ მასწავლებელთა ყრილობაზე ამბობდა:

„ახლა ჩვენ ვახორციელებთ ორ ისტორიულ ამოცანას: ვქმნით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ვზრდით ახალ ადამიანს. არსებითად ეს ორი ერთიანი პროცესია“.

კომუნიზმი თავისით არ მოვა, იგი უნდა მოვიპოვოთ. ამიტომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად უდიდესი ყურადღება ექცევა კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდას. პარტია მიგვითითებს, რომ „საბჭოთა საზოგადოებამ დიდი წარმატებები მოიპოვა მასების სოციალისტურ აღზრდაში, სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა ფორმირებაში. მაგრამ სოციალისტური წყობილების გამარჯვების შემდეგაც ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში რჩება კაპიტალიზმის გადმონაშთები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების წინსვლას.

როგორია ამ მხრივ იდეოლოგიური ფრონტის მუშაობა ამოცანა, როგორ უნდა განვახორციელოთ პრაქტიკულად პარტიის ეს მითითება?

სწორედ ამ საკითხებს მიუძღვნა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიულმა აქტივმა თეორიული კონფერენცია თემაზე: „კომუნისტური საზოგადოების ადამიანი ყალიბდება წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლაში“.

ქვემოთ მოგითხრობთ ამ კონფერენციის შესახებ.



გ. სირაძე

კ. მელქაძე



გ. ბანძელაძე

ჩვენ ვიცხოვრეგთ კომუნიზმის დროს

პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს! — რა აღტაცებითა და სიამაყით ამბობენ ამ სიტყვებს საბჭოთა ადამიანები!

ასე იყო ამ დარბაზშიც, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში...

დოცენტი **ვ. მელქაძე** გამოდის მოხსენებით — ახალი ადამიანის აღზრდა შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით გენერალურ ხაზს წარმოადგენს პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში“.

— ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უბრწყინვალესი დოკუმენტი, რომელიც მსოფლიო-ისტორიული გამოცდილებას განზოგადებით, მომდინარე პროცესების სწორი შეფასებით ასახავს თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი განვითარების მომწიფებულ მოთხოვნებს. იგი უდიდესი ლოგიკური ძალით ასაბუთებს კაპიტალიზმის დაღუპვისა და მსოფლიო მასშტაბით კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობას, გამბედავი მემოქმედებითი მიდგომით სახავს იმ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნისტური იდეალების პრაქტიკულად განხორციელებას. ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია სსრ კავშირში სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის განხორციელებისათვის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური წარმოებითი ურთიერთობის ჩამოყალიბება, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობა, საბჭოთა კულტურისა და მასების შეგნებულობის კომუნისტურ დონემდე ამაღლება — შეიძლება ორ მთავარ ჯგუფად დაიყოს:

1. კომუნისტური საზოგადოებისათვის საჭირო საწარმოო ძალებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის შექმნა;

2. კომუნისტური მომავლის ადამიანის აღზრდა.

თეორიული კონფერენციის მონაწილენი თვალგადაბრწყინებულნი ლაპარაკობენ იმ პრაქტიკულად განხორციელებულ საოცრებათა შესახებ, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია თავისი განვითარების რთულ და ძნელ გზაზე.

— ჩვენ ახლა კომუნიზმის გზით მივდივართ, — ამბობენ ისინი, — გვაქვს დიდად განვითარებული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, კულტურა... კომუნისტური შრომის მრავალ შესანიშნავი მაგალითი, უზარმაზარი საჰაერო ლაინერები, ატომური ყინულმჭრელები, ბირთვულ ენერგიაზე მოქმედი ელექტროსადგურები, ჩვენი პლანეტის სასწაულთა სასწაული — კოსმოსური ხომალდები. — ყველაფერი ეს საბჭოთა ადამიანების ნიჭის, გონებისა და უნარის უმაგალითო გამოვლინებაა, კომუნიზმის გზით მიმავალი ხალხის შემოქმედებითი შრომის ნაყოფია.

საბჭოთა ხალხის პატრიოტულ შრომაში მცირე წვლილი როდი შეაქვთ ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მშრომელებსაც. საამისოდ მრავალი ცოცხალი და ფაქტი მოიყვანეს პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. სირაძემ** შესავალ სიტყვაში, მომხსენებლებმა, სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა.

კომუნისტური შრომა და ყოფა სულ უფრო და უფრო ფართოდ მკვიდრდება რაიონის მშრომელთა ცხოვრებაში.

კომუნისტური ზნეობის საფუძველი

კაცობრიობის გარიჟრაჟზე ადამიანთა უსუსური ჯგუფები არსებობის ობიექტურ საჭიროებათა მოთხოვნით პირველყოფილი პრიმიტიული იარაღებით ეწეოდნენ შრომას, მაგრამ მათს შრომაში არ იყო მაორგანიზებელი ელემენტები და ეს შრომა არ შორდებოდა ჯუსებობისათვის ბრძოლის ფარგლებს, — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ტრესტ „სპეცმშენის“ მმართველმა **კ. გოგიჩაიშვილმა.**

ადამიანთა საზოგადოების კლასებად დაყოფასთან დაკავშირებით შრომა ექსპლოატაციის საგანი ხდება. მონათმფლობელური წყობილების ეპოქაში მონების შრომის უტიფარმა ექსპლოატაციამ გეგონარ საშინელებათა ავბედითი ფურცლები ჩაწერა კაცობრობის ისტორიაში. ფეოდალურმა საუკუნეებმა უფრო სრულყვეს მშრომელი ხალხის ექსპლოატაციის ფორმები, ხოლო ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქამ დააანონა დაჩრდილული შრომის სისტემა და დასაბამი მისცა ახალ წინააღმდეგობებს — შრომასა და კაპიტალს შორის, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო-კაპიტალისტურ ფორმას შორის.

მხოლოდ სოციალისტურმა რევოლუციამ გადაჭრა „შრომის განთავისუფლების“ პრობლემა. კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი არსებითად ცვლის ყველაფერს და ადამიანის შრომას აძლევს მიზანსწრაფულ ხასიათს, შეაქვს მასში კოლექტიურობის სული, ავსებს მას სოლიდარული შინაარსით. ჩვენს საზოგადოებაში განუხრელად იზრდება შრომის მატერიალურ-ზნეობრივი სტიმულები და შრომითი გმირობა უმაგალითო მასშტაბებს აღწევს.

— იმის შეგნება, — გაისმის ხმა ტრიბუნიდან, — რომ შენ შრომობ არა სიმსუქნის ქონით შეწუხებული ბურჟუასათვის, რომ შენი შრომის ნაყოფი საზოგადოების და შენი კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობას ხმარდება, რომ შრომა განგადიდებს და საზოგადოების ღირსეულ წევრად გხდის, — უზარმაზარ სტიმულს იძლევა შრომითი გმირობის ფრონტზე.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასების შრომითს ენთუზიაზმს. ცნობილია, რა მაღალი შეფასება მისცა მან პირველ კომუნისტურ შაბათობებს:

„ჩანს, ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, წერდა ლენინი კომუნისტურ შაბათობათა შესახებ, — მაგრამ ეს არაჩვეულებრივი დიდი მნიშვნელობის დასაწყისია. ეს არის დასაწყისი ბურჟუაზიის დამხობაზე უფრო ძნელი, უფრო არსებითი, უფრო ძირითადი, უფრო გადამწყვეტი გადატრიალებისა, რადგან ეს არის გამარჯვება საკუთარ უძრაობაზე, თავაშვებულობაზე, წვრილბურჟუაზიულ ეგოიზმზე, იმ ჩვეულებებზე, რაც წყეულმა კაპიტალიზმმა მემკვიდრეობად დატოვა მუშას და გლეხს“.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ისტორია გმირული თავდადებისა და შეუპოვარი, მამაცური შრომის უმაგალითო ისტორიაა. კაცობრიობის მთელ ისტორიაში პირველად ჩვენს ქვეყანაში გახდა შესაძლებელი შრომის გადაქცევა სახელის, ღირსებისა და სიმამაცის საქმედ. და ყველგან, სადაც საბჭოთა ადამიანის შრომითი პათოსი სწვდება, — შორეულ ანტარქტიდასა და ციმბირის ტაიგაში, ყაზახეთის ყამარ მიწებზე და კოსმოსის გაუკვალავ სივრცეში — უკვალოდ შუქურად ანთია ჩვენი სახელოვანი ადამიანების გმირული შრომის პეროიკა.

„ჩვენი დღეების გმირები“, — ასე უწოდა ხალხმა კომუნიზმის მშენებლობაში დაწინაურებულ ადამიანებს.

ვინ არიან ისინი?

შრომაშია მათი გედნიერება

დარბაზში ვართ და ვუყურებთ, თუ როგორ იცვლებიან ერთიმეორის მიყოლებით კადრები... აი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი რაიონი — ორჯონიკიძის რაიონი... დაუღალავი შრომითი მარჯვენით შექმნილი მრავალსართულიანი შენობები, ზოგი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია და მათ მშენებლები დაჰფუსფუსებენ. რაიონი შენდება, მშვენდება. მშენებლებს ცვლიან სახელმოხვეჭილი მეცნიერები, კულტურისა და ჯანმრთელობის კერებში მომუშავე ადამიანები, ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები... ეს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი რაიონის კინომოყვარულებმა შექმნეს.

აი ეკრანზე გამოჩნდა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა. დაზგასთან ტრიალებს სახელგანთქმული მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი ეთერ სოლომონია... მაგრამ უმჯობესია მის სიტყვას გავეცნოთ. იგი ხომ თეორიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა.

— ამხანაგებო! მეტად მიძნელდება აქ გამოსული ამხანაგების შესანიშნავი სიტყვების შემდეგ საუბარი. მე ვერ ვიკისრებ ისე ზუსტად ჩამოვაყალიბო თეორიული დებულებები, როგორც მათ. მე მხოლოდ ჩვენი ფაბრიკის ცხოვრებაზე ვილაპარაკებ — როგორ ვშრომობთ, რაშია ჩვენი ბედნიერების დაუშრეტელი წყარო.

— შრომაა ჩვენი და ჩვენი ამხანაგების ბედნიერება. შრომა გვანიჭებს ხალისს, სიხარულს. აი თუნდაც მუდამ მხიარული გალინა რაჰველიშვილი, ჩვენი გაგანოველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი! შრომაში ხედავენ ბედნიერებას კომუნისტური შრომის დამკვრელები მ. ბურჯანაძე, ც. აბაშიძე, ე. ჯოჯუაშვილი, თ. ლაღიძე, მ. ფსუტური, ლ. შატალოვა, ე. ნადეინა, ნ. ორჯონიკიძე... ფაბრიკის სახელს და ღირსებას იცავენ დ. ალიბეგაშვილის, ვ. გეგეშიძის, გ. გორდაძის, რ. მამუჩიშვილის, შ. ოდიშელიძის კომუნისტური შრომის ბრიგადები.

მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ კომუნისტური შეგნების, ტრადიციების მატარებელი ადამიანები აღიზრდებიან და იბრძმედებიან კომუნისტური იდეალის განხორციელებისათვის დაძაბულ შრომასა და ბრძოლაში.

სწორედ ასეთ შრომასა და ბრძოლაში აღიზარდნენ ახალი საბჭოთა ადამიანები, რომელთა უმრავლესობასაც ახასიათებს შრომისა და საზოგადოებრივი საკეთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულება. შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, საზოგადოებრივი ინტერესების წინ დაყენება პირადულთან შედარებით. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის, კოლექტივიზმისა და ურთიერთდახმარების სულისკვეთება.

ბრიშუტაში — „თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონი“ — კმაყოფილებთ ეთოლობთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომუშავე მორნავე ადამიანთა გვარებს, რომლებიც კომუნისტური მორალის პრინციპებზე აღიზარდნენ და რომლებსაც თავიანთ უბანზე ღირსეული წვლილი შეაქვთ მატერიალური და სულიერი სიკეთის შექმნაში.

ვინ არიან ისინი?

სახელოვანი ქართველი მეცნიერები, ლიტერატურის, კულტურის, ჯანმრთელობის დარგის მოღვაწეები, კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრები, დამკვრელები... ვინ მოთვლის მათ! ძიძიგურისა და იშხნელის კომუნისტური შრომის ბრიგადები აგურის ქარხანაში, მოწინავე მუშები კახეთელაშვილი, რომელაშვილი, დიმელაშვილი ავეჯის ფაბრიკაში და მრავალი სხვა.

ტრესტ „სპეცმშენის“ მმართველმა კ. გოგიჩაიშვილმა ხაზი გაუსვა საბჭოთა ადამიანის ერთ შესანიშნავ თვისებას.

— შრომა ჩვენში გვეელინება კომუნისტური ზნეობის მატერიალურ საფუძველად. ადამიანთა ეუმშარი ბედნიერების წყაროდ. განა ცოტაა ჩვენს ირგვლივ შემთხვევები, როცა ადამიანმა იშრომა, ოქროდავაჭა დე იმ ასაკში შვიდა, რომ პენსიაზე გავიდეს. მაგრამ იგი კვლავ განაგრძობს შრომას მშობლიურ საწარმოში, ენთუზიასტის სიკერპით ვერ განშორებია მშენებლობას, მანქანის საქეს და საამქროს სპეციფიკურ სუნს. აი, მაგალითად, კესენაშვილი, მიგლოვა, სანტურიანი... ვერაფერს გაიწყობ, შრომაა ამ ადამიანთა სტიქია და ეუშმარიტი ბედნიერების უშრეტი წყარო.

ჩვენს გვერდით ასეთეგი?

სოფლის დარბაზში შესვლამდე ყურადღებას იქცევს კედლებზე და სპეციალურ ჩარჩოებში გამოკიდებული სატირული გაზეთები. უყურებ მასში მოთავსებულ კარიკატურებსა და ფოტოსურათებს, რომლებიც მოურიდებლად ამხილებენ საზოგადოებრივი დისციპლინის დარღვევებს — ლოთებს, ქურდბაიცაცებს, მუქთახორებს, სპეკულანტებს, ზარმაცებს — წყეული წარსულის მავნე გადმონაშთების მსხვერპლთ... უყურებთ ამ გაზეთებს, იცინით, და ამავე დროს გული გტკივათ. გაცინებთ თუნდაც ღარისგან გრძნობადაკარგული მდელოზე გამოტანილი ახალგაზრდის, მილიციელთა მიერ შეპყრობილი ხულიგნის ან ქალაქის ქუჩებში უსაქმოდ შეგროვილი ახალგაზრდების ფოტოსურათები, დასცინით მათ გონებრივი უსუსურობისათვის, ხოლო გული გტკივათ, რომ ჯანსაღ, კომუნიზმის მშენებელ პატიოსან ადამიანთა გვერდით ჯერ კიდევ არიან მახინჯები, ბევრი მათგანი გეცოდებათ და მზად ხართ — ხელი ჩასჭიდოთ, აღზარდოთ, გამოასწოროთ.

თეორიული კონფერენციის დარბაზიდან განუწყვეტლივ ისმოდა ხმები:

— არავითარი დანდობა ქურდებს, მუქთახორებს, სპეკულანტებს!

— ავლაგმოთ კერძომესაკუთრეობის მოტრფიალენი!

— ადამიანის აღზრდა ხელში ავიღოთ ყველამ, მთელმა საზოგადოებამ!

მომხსენებლები და სიტყვებით გამოსული ამხანაგები დიდი გულისტკივილით ასახელებდნენ ცალკეული პირების მიერ ჩადენილ სამარცხვინო და სამწუხარო ფაქტებს.

— შეეწყინარებელია ასეთი გულგრილობა, — ამბობენ ისინი, — როცა შენს თვალწინ ერთეულები სახელმწიფოს ძარცვავენ, მიწას სპეკულაციას ეწევიან, არღვევენ საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, არიან კარიერისტები, ბიუროკრატები...

ამას წინათ მექრთამეობისა და ყალთაბანდობისათვის დაუსაბამრეს ონკოლოგიური დისპანსერის რენტგენოლოგი ეკიმი კომენისტი ნემსიწვერიძე, რომელმაც საბინაო კოოპერატივის მშენებლობაზე სხვადასხვა მაქინაციით დიდი თანხა მითვისა. აღმაშფოთებელია რაიონული საფოსტო ქსელის პარტიული ორგანიზაციის ყოფილი მდივნის ბაბაიანისა და სოციალური დაზღვევის რაიონული განყოფილების ბუხჰალტრის მაგრიაულის ქცევა, რომლებმაც ათეულ ათასობით მანეთი სახელმწიფო სახსრები მითვისეს.

თეორიული კონფერენციის მონაწილენი ინტერესით ათვალიერებენ რაიონის საწარმოთა და დაწესებულებების სატირულ კედლის გაზეთებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პარტიას თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარ ამოცანად მიაჩნია ყველა მშრომელის აღზრდა ჭაღალი იდეაროგისა და კომუნიზმისადმი გრთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, გურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთების სრული დაძლევა, პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნა. პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდი თაობის აღზრდას.

ტრესტ „სპეცმშენის“ მმართველი

ტრესტ „სპეცმშენის“ ადამიანები

ტრესტ „სპეცმშენის“ ადამიანებმა ოთხ-ოთხ ადამიანად ერთიანდებიან ბრიგადებად. ბრიგადა ერთ-ერთ ობიექტზე ასრულებს ერთ-ერთ ტიპურ სამუშაოს. ბრიგადა ერთ ადამიანად ფუნქციონირებს. ბრიგადა ერთ ადამიანად ფიქრობს, ბრიგადა ერთ ადამიანად ოფლიანობს, ბრიგადა ერთ ადამიანად ოცნებობს. ბრიგადა ერთ ადამიანად ... ბრიგადა ... ბრიგადა ... ბრიგადა

საბჭოთა კავშირის ძლიერება ჩაფუშავს ომის გამჩაღებელთა ავანტიურ გეგმებს

უცხოეთის გამოცხადებულ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებზე სსრკ თავდაცვის გასაძლიერებლად

ბეიჯინი, 31 აგვისტო. (საკდესი). ჩინეთის მთავრობა და ხალხი მტკიცედ უჭერენ მხარს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას ატომური იარაღის ექსპერიმენტული აფეთქების მოწყობის შესახებ, ნათქვამია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა აქ. ჩინეთის მთავრობას, აღნიშნულია განცხადებაში, მიაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობის ეს გადაწყვეტილება გამიფხიზლებელი საშუალებაა ომის გამჩაღებლებისათვის.

ჩინეთის მთავრობა საქეიფოდ აცხადებს, რომ ჩინეთის მთავრობა და ხალხი საბჭოთა კავშირთან ან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან და ხალხებთან ერთად კვლავაც ბოლომდე იბრძოლებენ საყოველთაო განიარაღების საბოლოო განხორციელებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, აგრესიული ომის წინააღმდეგ და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დასაცავად.

პარიზი, 31 აგვისტო. (საკდესი). შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის შედეგად საბჭოთა კავშირი იძულებული იყო განეხორციელებინა ღონისძიებანი, რომლებიც აგრესიისაგან დაიცავენ საბჭოთა სახელმწიფოსა და მთელ სოციალისტურ-ბანაკს. ერთ-ერთი ღონისძიებაა ჩვენი უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოცდის განხორციელების შესახებ, წერს დღეს გაზეთი „ოლნეუ ვოლნოსტი“.

ეს გადაწყვეტილება, წერს გაზეთი, გაკეთებულია იმ დანაშაულებრივი ძალების მიმართ, რომლებსაც სურს დაანთოს ომის ხანძარი. ეს არის უპასუხისმგებელო პოლიტიკოსების თავზე გადასხმული ცივი წყალი, რომლებიც ცდილობენ ომის გზით განახორციელონ თავიანთი მიზნები.

სსრ კავშირის მთავრობა თავის განცხადებაში ერთხელ კიდევ ადასტურებს მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს, ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ იგი მზად არის ყოველ მომენტში ხელი მოაწეროს შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხზე, რაც აგრეთვე ბოლოს მოუღებდა ატომური იარაღის გამოცდას.

